



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, სამართლის დოქტორმა თამარ ზარანდიამ მოიპოვა სტიპენდია პროექტის – „ევრაზიული სამართლის შედარებით-სამართლებრივი კვლევები“ ფარგლებში. ქალბატონი თამარ ზარანდია 2010 წლის 1 აპრილიდან მიწვეულია სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად ჰამბურგის მაქს-პლანკის საერთაშორისო კერძო სამართლისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც იგი იმუშავებს თემაზე: „საკუთრება ქართულ და ევროპულ (გერმანულ) სამართალში“.

პროექტი ხორციელდება „ფოლკსვაგენის“ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. სტიპენდიის ხანგრძლივობა 9 თვეს შეადგენს.

იურიდიულ ფაკულტეტზე შედგა სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვა. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისია დაკომპლექტდა იურიდიული ფაკულტეტის კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორით. კომისიის თავმჯდომარედ მოწვეულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ბატონი ბესარიონ ზოიძე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვებული 43 სტუდენტისაგან, კომისიის გადაწყვეტილებით 39 მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ულოცავს მათ ამ დიდ წარმატებას.